# ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

## 2020 წლის იანვარი

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0.2 პროცენტით შემცირდა. ელექტროენერგიი, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე 2.9 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი გაიზარდა 4.6 პროცენტით. სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების ფასების ინდექსი გაიზარდა 15.4 პროცენტით. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე ფასები გაიზარდა 4.7 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიი, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე 7.4 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის იანვარში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

| კოდი | ჯგუფები და ქვეჯგუფები | 2019 წლის იანვართან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|
| | **სულ** | **104.6** | **4.58** |
| B | სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 115.4 | 0.38 |
| C | დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია | 104.7 | 4.38 |
| 10 | კვების პროდუქტები | 107.1 | 2.13 |
| D | ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი | 107.4 | -0.19 |
| E | წყალმომარაგება; კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით | 100.0 | 0.00 |

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.02.2020

## ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე =100)




**საკონტაქტო პირი:**

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).

ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge